ა(ა) იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი მოიცავს გასული წლის დეკემბრის თვესა და მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბრის თვეებს)

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით, სხვა სამართლებრივი აქტებითა და ამავე სამსახურის წესდებით.
სამსახურის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა, ხელმძღვანელ პირებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების, მათ შორის, რეფორმის მიმდინარეობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის შესახებ საზოგადოების ინფორმირება. აღნიშნული მიზნების ეფექტურად განხორციელების მიზნით, სამსახური გამოსცემს ,,ახალ ხარაგაულს“, რომელშიც სისტემატურად თავსდება ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და განსახორციელებელი აქტივობების შესახებ, მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სოციალური პროგრამებზე. გაზეთში ასევე იბეჭდება ხარაგაულის მერისა და მერიის სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშები, სამართლებრივი აქტები, საკრებულოს დეპუტატების ინიციატივები, აქტივობები და კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებათა ამსახველი კორესპონდენციები. ,,ახალი ხარაგაული“ უფასოდ რიგდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, რაც ერთგვარი შეღავათი იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც არ აქვთ გაზეთის შეძენის შესაძლებლობა. სოფლებში გაზეთების გავრცელებაში გვეხმარებიან სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირები, რომლებიც საკამაოდ კარგად ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას.
სამსახურის წესდებიდან გამომდინარე, მჭიდრო კომუნიკაცია გვაქვს მოსახლეობასთან და სისტემატურად ვმართავთ შეხვედრებს. ადგილზე ვეცნობით ყველა პრობლემასა და შემდგომ რეაგირებისთვის ვიხილავთ შესაბამის სამსახურებთან ერთად. საანგარიშო პერიოდში უშუალოდ ჩვენი ორგანიზებით სოფლებში მოეწყო 28 შეხვედრა, ადგილზე გამოიკვეთა რიგ პრობლემები, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში აღმოიფხვრა.
აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის, კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრის ბაზაზე, ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, დაამყარონ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან, სამსახურებთან კომუნიკაცია და უმოკლეს დროში მოიპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. ცხელი ხაზი საკმაოდ დატვირთვით მუშაობს და დღის განმავლობაში ძალიან ბევრი ზარი შემოდის. ძირითადად, რეკავენ ის ადამიანები, რომლებსაც კონკრეტული პრობლემები აქვთ, ან სურთ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე დაზუსტებული პასუხების მიღება. დიდი მომართვიანობაა ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, უძრავი ქონებისა და მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შემოდის ასევე სხვადასხვა შინაარსის კითხვები, რომელთა გადამისამართება ხდება შესაბამის სამსახურებთან. ცხელ ხაზზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, განკუთვნილი სამუშაო გრაფიკი ჩვენთვის არ არსებობს.

საანგარიშო პერიოდში ყველა შემოსულ ზარზე მოხდა შესაბამისი რეაგირება და არაერთ ადამიანს გაეწია დახმარება.
მნიშვნელოვანია, რომ ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი" აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ერთობლივი ძალებით მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება. ჩვენი ორგანიზებით, ხარაგაულში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები უფასოდ გადაეცემათ. ცენტრის წარმომადგენლები საცხოვრებელ სახლებში მისვლით პირადად უზრუნველყოფენ თითოეული პირისათვის ზომების აღებასა და შესაბამისი კითხვარების შევსებას. თანამედროვე, კომფორტული ეტლები, ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით, იმ პირებს ურიგდებათ, ვისაც ან საერთოდ არ ჰქონდა ეტლი, ან დაზიანებული აქვს. ინფორმაციისათვის: მიმდინარე წელს აღნიშნულ აქციაში 10 ბენეფიციარი ჩაერთო. წლის ბოლომდე ველოდებით ეტლების ახალ პარტიას და დამატებით კიდევ მოხდება 12 ბენეფიციარის დაკმაყოფილება.
საანგარიშო პერიოდში, ჩვენმა სამსახურმა, მუნიციპალიტეტის მერის ბ-ნ კობა ლურსმანაშვილის დავალებით, იმუშავა საპროექტო განაცხადზე, რომლის ფარგლებშიც ხარაგაულის მერიამ 61 864 დოლარის გრანტი მიიღო. დაფინანსება იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამის ფარგლებში მოვიპოვეთ და აღნიშნული თანხით, მოხდა ახალი ექსკავატორ-დამტვირთველის შეძენა, რომელიც მუნიციპალიტეტს ძალიან სჭირდებოდა. საამაყოა, რომ დაფინანსება საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში მივიღეთ. საპროექტო განაცხადი 95 ორგანიზაციას ჰქონდა წარდგენილი და ხარაგაული საუკეთესო ორეულში მოხვდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხარაგაულის მერიას გრანტი არასდროს მიუღია და პირველად, ჩვენი სამსახურის ორგანიზებით მოხდა საკმაოდ სოლიდური თანხების მობილიზება.
ასევე გასული წლის დეკემბრის ბოლოს, ა(ა) იპ-მა გააკეთა ფეისბუქ გვერდი, რომელიც საკამოდ აქტიურად მუშაობს და ამ პერიოდის განმავლობაში 5 000 ათასამდე გამომწერი გვყავს. გვერდზე ყოველდღიურ რეჟიმში საკმაოდ ოპერატიულად ხდება ინფორმაციების განთავსება და მოსახლეობა საკმაოდ პოზიტიურად არის განწყობილი აღნიშნული გვერდის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ ,,ახალი ხარაგაული" მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საინფორმაციო საშუალებაა და სააკმაოდ აქტიური მკითხველი ჰყავს.
რაც შეეხება ა(ა) იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" 2023 წლის ბიუჯეტს, დღეის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 94 500 ლარას. აქედან შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 59 400 ლარი, მივლინების ხარჯი შეადგენს 1080 ლარს, საკანცელარიო ხარჯი-1230 ლარს, კავშირგამბულობის ხარჯი-2468 ლარს, კომპიუტერის შეძენა -2300 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 9200 ლარი.

პატივისცემით, ა(ა) იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" დირექტორი: ეკა შავიძე